

შინაური საქმეები.

☛ ყოველ-კვირული გაზეთი ☚

№ 14.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი შეეკვეს.

კვირა, 14 აპრილი 1913 წელი.

შინაური: 1) ქრისტე აღსდგა—მღ. რ. ხ., 2) ქრისტე აღსდგა—მღ. დ. ლოსაბერიძისა., 3) შური რ. სა-
ჯავახოელისა., 4) კვირიდან-კვირამდე., 5) პონტოელ პილატეს რაპორტი., 6) საუბრები ა. პ., 7) შა-
ლოშის გამოსაღება., 8) სია შემომწირველთა ინიანის ოჯახის სასარგებლოდ.

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა



ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ!

ქრისტე აღსდგა!

19 საუკუნეა მას აქვთ, რაც კაცობრიობა დღესასწაულობს სასწაულებრივ მაცხოვრის დიდებულს მკვდრეთით აღდგომას. აღსდგა მაცხოვარი და აღდგომითა თვისი ა აღგვადგინა ჩვენცა მყოფნი ბნელთა შინა. აღსდგა მკვდრეთით და აღადგინა დაცემული ბუნება კაცთა. აღსრულდა დანაპირი წინასწარმეტყველთა: „აღსდგე, ღმერთო, განსაჯე ქვეყანა, რამეთუ შენ დაიმკვიდრო ყოველთა შორის წარმართთა“. ქრისტე აღსდგა! გიხაროდენ ყოველთა! დღეს დღესასწაული დღესასწაულთა არის, „ვიხარებდეთ და ვიშვებდებდეთ ამა დღეთა შინა“. აღსდგა ქრისტე და დაიმსხვრა ბორკილი მონობისა. დადგა გაზაფხული, გაიღვიძა ბუნებამ; გაიღვიძა ზამთრისგან მკვდრათ ქვეულმა ტყე-ველმა, კორდ-ბუჩქმა... აღსდგა მაცხოვარიცა მკვდრეთით: „განიღვიძა ვითარცა ლომმან ძილისაგან“. განიღვიძეთ მორწმუნენო, ირწმუნეთ ურწმუნენო!.. აღსდგა ქრისტე და განფანტა სიბნელე, გაანათა წყვილი; შეუერთდით ურწმუნენო მორწმუნეთა, ირწმუნეთ დიდებული მცნება, დიდებული სასწაული. ვიყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა თვით ქრისტემან შეგვიყვარა ჩვენ. მაცხოვრის მცნება ორთავე ცხოვრების სასუფეველია. მან განგვიღო ჩვენგანვე დახშული კარი ამა სასუფეველისა, შევიდეთ მას შინა: „ესე არს დღე, რომელ ქნა უფალმან“ შევებად ჩვენდა. ნუ დავზავით ურჩობით და ჯიუტობით კვლავ კართა სასუფეველისათა. ქრისტე აღსდგა და „თვისთა თანა მოვიდა“ და „საფსებისაგან მისისა, ჩვენ ყოველთა მივიღოთ მადლი“ და ვსთქვათ ურთიერთ შორის ყოველთა ჭეშმარიტი რწმენითა: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და აღგვადგინა ჩვენცა!

მღ. რ. ხ.

ქრისტე აღსდგა!

დღე ბრწვინვალე სისხარუდისა.

(თარგმანი)

აუწერელ მწუხარებაში გაატარეს შაბათი დღე მოციქულებმა და წმ. დედებმა. უეჭველათ ისინი, როგორც ერთი კუთხის (გალილიათ) მცხოვრებნი ამ დღეს ერთათ იყენენ, ერთმანეთის მახლობლათ, მით უმეტეს რომ მათ აკავშირებდა ერთმანეთ შორის მხურვალე სიყვარული საყვარელ მოძღვრისადმი. ყველა ამათთვის ეს შაბათი იყო ჭეშმარიტათ შაბათი ჩუმ და მწარე კრემლთა, სევდისა და სასოწარკვეთილებისა. წმ. დედანი დაესწრენ დასაფლავებას და იხილეს საფლავი და ვითარ დასდებდეს გვამსა მას (მარკ. 15, 47). ამას გარდა წმ. დედებმა შეამჩნიეს, რომ იოსები და ნიკოდიმოსი ძლიერ ჩქარობდენ დასაფლავებას და ვერ შეეძრულეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო ურიების ჩვეულებისამებრ და არც შეიძლებოდა არ აჩქარებულეყვენ. დასაფლავება მოხდა პარასკევს, გვიან საღამოზე. მზე უკვე ჩადიოდა და ეფარებოდა იერუსალიმის ქედებს, დგებოდა შაბათი „დიდი დღე“ (პასეჟი). განმავლობასა შინა შაბათის დღისასა მათ თვალწინ, უეჭველია, ეხატებოდათ წარსულ დღეს მომხდარი გულის შემზარავი ამბები; მცირე წვრილმანიც კი დიდის სიცხადით წარმოუდგებოდა მათ და აი, ბოლოს, მთელი მათი ყურადღება მიჯაჭვულ იქმნა ერთ აზრზე, რომ კიდევ ყველაფერი არ შესრულებულა დაუფიწყარ მასწავლებლისათვის, რომ თანააძის მათ ჯეროვანი წესით დაასრულონ დასაფლავება. ისინი, რომელნიც ყოველთვის მზად იყვენ იესოსთვის თავი გაეწირათ ახლა ცდილობდენ უკანასკნელი ვალი გადაეხადათ განსვენებულისადმი და მოამზადეს ახალი ნელსაცხებელი და სურნელოვანება. და აი როგორც გათავდა ვადა შაბათის უქმობისა, „ცისკარსა მსთვად“ (ლუკ. 24, 1.), „ვიდრე ბნელდა იყო“ (იოან. 20, 1) მარიამ მაგდალინელა, მარიამ იაკობისა, იოანა სკოლი ქოზისი, ეზოს მოძღვრისა

იროდისა, და სხვანი, რომელნი მსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა (ლუკ. 8, 3) სიკოცხლეში და რომელნიც ახლა საპასექოთ მასთან და მოციქულებთან ერთად „მოსულიყვნენ გალილეათ“ (ლუკ. 23, 55), გაეშურენ საფლავისაკენ, „შიაქენდათ რა იგი მოეშადა სუნწელი და ნელსაცხებელი“ (ლუკ. 24, 1). მაგრამ უველაზე ადრე სახლიდგან გამოვიდა მარიამ მაგდალინელა „აღნთებული, შენიშენისამებრ წმ. ი. ოქროპირისა, თვით უნაზესი სიყვარულით მასწავლებლისადმი და, თითქო ფრთები, ასხიო მიიბრინა პირველად საფლავთან, სურდა რა, მიღება ამ ადგილიდან მინც რაიმე ნუგეშისა თავის უზომო მწუხარებაში. მაგრამ, ჰოი, საშინელება! მარიამი, თვით საფლავის წინ გაშტერდა, როგორც მენდაცემული—„იხილა ლოდი იგი აღბული კარისა მისგან საფლავისა“ (იოან. 20, 1). ძლივს მოსული გრძობაზე არა ჩვეულებრივი განცვიფრებისა და შიშისაგამო, იგი დაუყონებლივ, ვერაფრის ვერ მხედველი და ვერ მსმენელი თავის გარშემო, გაეშურა უკანვე და პირდაპირ „რბიოდა და მოვიდა სვიმონ პეტრესსა და სხვისა მის მოწაფისა, რომელი უყვარდა იესოს“ და რქვა მათ! „აღიდეს უფალი საფლავისაგან და არა უწყვი, სადა დასდევს იგი“ (იოან. 20, 2).

ამასობაში სხვა წმ. დედებს, რომელნიც ჩამორჩენ გზაში მარიამს, მოაგონდათ ლოდი, რომლისადაც დასაფლავების დროს დახურეს საფლავი. შესაძლებელია, ამის ფიქრში ისინი შეჩერდნენ გზაზე შეეკვებულნი და ჰკითხვიდნენ ურთიერთს: „ვინ გარდაგვიგოროს ჩვენ ლოდი იგი?“. ამასობაში უკვე თენდებოდა (მათ. 28, 1), როცა ისინი მივიდნენ ბაღთან და შევიდნენ შიგ.

სიციხადისათვის ქვემოთ მოთხრობისა აღვწერთ აქ მას, რაც ვიცით ჩვენ ურიების სასაფლაოს შესახებ. იერუსალიმი გარეშემოზღუდულია კლდოვან მთებით და გორაკებით; ამ მთებში იკეთებდნენ ებრაელები თავისთვის სასაფლაოსა. პირველად კლდეში გამოკვეთდნენ შესავაღის (პრუბორი), საიდგანაც ვიწრო და დაბალ კარს შეუყვდა შიგნით კლდის სასა-

ფლაო მღვინეში, რომელიც ამოკვეთილი იყო ხოლომე აგრეთვე კლდის სიღრმეში. გამოქვაბულში დამზადებული იყო დასასვენებელი ადგილი (погребальное место). ასეთი სამარხი ადგილი იმ სასაფლაოში, რომელიც მოეშადა თავისთვის იოსებ არიმათიელს იმყოფებოდა გამოქვაბულის შესავალში მარჯვნივ, აქ შესვლისას მარჯვნივ ჩვენც დავინახავდით პატარა გამოშვერილ კლდეს კედლის გასწვრივ, რომელიც ამოკადილი იყო შიგ და რომელსაც გვერდებზე ქონდა ქვის კედლები. აი ამ კედლებზე შუა ამოღრმავებულ კლდეში იყო დადებული გვამი უფლისა. ზევიდგან ამას (საფლავს) ეფარებოდა ქვისვე ფიცარი. შესასვლელი გამოქვაბულისა იხურებოდა ლოდით, რომელსაც ერქვა „გოლალი“. გოლალის მიფარება ღვიმეს პირში შეიძლებოდა მხოლოდ რამოდენიმე ადამიანის შეერთებული ძალით; „რამეთუ იყო დიდ ფრიალ“. (მარკ. 16, 4). აა ახლა ეს ქვა აგდებდა საგონებელში მენელსაცხებელ დედებს. მზის პირველმა სხივებმა უკვე გაანათეს აღმოსავლეთი (მარკ. 16, 2) და მათ შუქზე წმ. დედებმა განცვიფრებით და შიშით „მიხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორებულ იყო ლოდი იგი“ (მარკ. 16, 4). მხოლოდ გამოქვაბულს დაელო მათ წინ პირი. გამოერკვენ რა განცვიფრებისაგან, წმ. დედანი მიიღტვიან საღმთო სასაფლაოში. შეხედეს რა შესავალში „გოლილს“, ისინი გაქვავდნენ შიშისაგან: გარდაგორებულ ლოდზე იჯდა ანგელოზი“ (მათ. 28, 2), „ხოლო იყოხილვა მისი, ვითარცა ელვა და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი“ (მათ. 27, 3).

საღმრთო ძრწოლით მენელსაცხებლენი დაეცნენ პირქვე მიწაზე. (ლუკ. 24, 5). მიუგო ანგელოსმან მან და რქვა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქვენ, ვიცი, რამეთუ იესოს ნაზარეველსა გვარსულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღსდგა. ვითარცა სთქვა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი. და ადრე წარვედით, და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ აღსდგა მკედრეთით და ამა წინა გიძღვის

თქვენ გალილიას; მუნ იხილოთ იგი, ვითარ-
ცა გარქვა თქვენ. (მათ. 28, 5—7).

დედანი დაემორჩილენ რა ბრძანებასა
ანგელოზისა, ძრწოლით შევიდენ საფლავსა
მას და იხილეს ქაბუკი, მჯდომარე მარჯვე-
ნით კერძო შემოსილი სამოსლითა სპეტაკი-
თა“. ხელახალი შიში და ხელახალი გამხნე-
ვება...

„ნუ განკრთებით, იესოს ეძიებთ ნაზა-
რვეულსა ჯვარცმულსა, აღსდგა, არა არს აქა,
აჰა, აღვილი, სადა დასდევს იგი, არამედ
წარველით და უთხაროთ მოწაფეთა მისთა და
პეტრეს, ვითარმედ აჰა ეგერა წინაგოდღის
თქვენ გალილიას, მუნ იხილოთ იგი, ვი-
თარცა გარქვა თქვენ (მარკ. 16, 5-7).—

მოიხსენეთ, რქვეს ზეციურმა მახარებ-
ლებმა, - ვითარ იგი გეტყოდა თქვენ, ვიდრე
იყოლა იგი გალილიას და სთქვა, ვითარმედ
ჯერ არს ძისა კაცისა მიცემად ხელთა კაც-
თა ცოდვილთასა და ჯვარცმად და მესამესა
დღესა აღდგომად“.

„და მოეხსენეს, სიტყვანი მისნი“ (ლუკ.
24, 6—8).

საფლავიდან გამოსვლის შემდეგ, წმ. დე-
დანი საქაროთ გაეშურენ ქალაქისკენ. მზე უკვე
გამოჩნდა ჰორიზონტზე, გზაში მათ ხედებო-
და, უქვევლია, მრავალი ხალხი, შეიძლება,
ამათ რიცხვში იყვენ კაიფას მსახურნიც, რო-
მელნიც მიეშურებოდენ მისი მინდობილობით,
რათა დარწმუნებულიყვენ მასში, რომ იესო
აღარ არს უკვე საფლავში.

უფლის შტრებსაც აგრეთვე უნდა გაეგოთ
მათთვის შემზარავი ამბავი მისს აღდგომაზე.
საფლავზე მცველების დაყენებით, ისინი უნე-
ბლივით იშხადებდენ თავისთვის არა ჩვეულებ-
რივი სასწაულის მახარებლებს.

„გალილეელი წინასწარმეტყველი საფ-
ლავში აგდია ჩემ, კაიფას, ბექედ ქვეშ... მცვე-
ლები სდგანან უკვლელად... უოველივე ზო-
მები მიღებულა. დამრჩენია მხოლოდ დავაწყ-
ნარო აზრთა დღეფა“... ასეთი ფიქრები უნე-
ბურად გაურბოდენ თავში კაიფას, სანამ ის
დილის ღოცვას შეასრულებდა სჯულისამებრ და

განიბანებოდა ტაძარში წასვლის წინ. ამ დროს
უცებ შემორბის მსახური ნაზარეველი, „ბატო-
ნო, -- დაიწყო მან აჩქარებით, -- ბატონო, მცვე-
ლები დაბრუნდენ! და დაიმდაბლო რა ხმა,
თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა: „ამბობენ,
საფლავი ცარიელია, და ის არ არის იქ“!

კაიფა დაიბნა. წინასწარმეტყველის სიტ-
ყვებმა სამი დღის ვადაზე ელვასავით გაურბი-
ნეს მას თავში, მართლაც დგებოდა მესამე
დღე...

მღვდელმთავარმა საქაროთ მანტია წამო-
ისხა და დერეფანში გამოვიდა. დილის რიყრაყზე
მას აღვილით შეეძლო გაერჩია მცველთა შე-
შინებული სახეები და მოისმინა უცნაური სიტ-
ყვები...

„გარეშემო სრული სიჩუმე იყო, წინა
დღეს ბალი ცარიელი იყო; საღამოს ფეხი-ფეხ-
ზე დავიარეთ, ირგვლივაც შემოუარეთ, მაგრამ
ვერც შიგ და ვერც გარეთ ვერავინ შევნიშ-
ნეთ. ღამე უმთვარო იყო და ბნელოდა. სამა-
რისებური სიჩუმე, რომელსაც სიოს მცირე-
ოდენი მიმოქროლვაც კი არ არღვევდა, ტყვი-
ასავით გვაწებებოდა გულზე, რალაც შიშმა შე-
გვიპყრო... ის იყო გავაჩაღეთ ცეცხლი საფ-
ლავთან და მოვილაპარაკეთ არ მოგვეხუჭა
მთელი ღამე თვალი, ჯერ კიდევ სრული შუა-
ღამე არ იქნებოდა, როცა ჩვენ უველამ ვიგო-
ძენეთ, ვითომც დედამიწამ მძიმეთ ამოისუნთ-
ქა... შეშინებულნი წამოვიქერით ფეხზე. შეუ-
ძლებელია იმის გადმოცემა, რაც შემდეგ მოხ-
და... მძიმეთ შეიძრა დედამიწა, ხეები შრია-
ლით შეირხენ, დაბექდული ლოდი დიდი ხმაუ-
რობით გადმოგორდა საფლავიდან, იქიდან
გამოსულმა თვალის მომჭრელმა ელვარებამ
პირქვე დაგვახზო ჩენ. ვეგდეთ უკონოთ...
როცა გონს მოვედით, დავინახეთ, რომ ლო-
დი გადაგორებულია და საფლავი ცარიელი“.

„ერთი კონტიც არავისთან დასძრათ ამა-
ზე, თუ აფასებთ თქვენ სიცოცხლეს, გესმით
არავისთან! ბურდღუნებდა თავზარდაცემული
კაიფა, მღვდელმთავარმა განკარგულება მოახ-
დინა, მცველები მაგარ და უშიშარ აღდგომას
დაებინავებიათ, შემდეგ თავისი კაცები აფრო-

ნა საფლავზე ამ ამბის შესამოწმებლად, შესაძლოა ესენა გზაზე შეხვდნენ საფლავიდან დაბრუნებულ წმ. დედებს და, გადახედეს რა მათ გვერდის თვალით, შეაკრთეს ისინი.

მენელსაცხებლენი გაუდგენ გზას შეშინებულნი: „რამეთუ შეძრწუნებულ იყვნეს და დაკვირვებულ, და არა რა ვის უთხრეს, რამეთუ ეშინოდათ“ (მარკ. 16--8).

უცნობ მგზავრებს გარდა, ამათ გზაზე უნდა შეხვდებოდნენ ისინიც, რომელთაც ეხებოდა სასახარულო ამბავი: ესენი იყვნენ პეტრე და იოანე და მათ შემდეგ მაგდალინელა. შიშისაგან გარემოცულ მენელსაცხებლეთ დედებს, შეიძლება, სულაც არ შეუმჩნევიათ ისინი, ძივშურებოდნენ რა საჩქაროთ თავის სახლში და როცა იგრძენეს თავისი თავი სამშვიდობოში თან-და-თან გამოერკვენ შიშისაგან დამშვიდდენ და „ახარეს ყოველივე ესე“. (ლუკ. 24, 10).

მიიღეს რა ცნობა მარიამ მაგდალინელასგან, მოციქულნი პეტრე და იოანე დაუყონებლივ, სხვათა მენელსაცხებლეთ დედათა დაბრუნებამდი, მიიღტიან საფლავისაკენ, რომ თავის თვალით დარწმუნდნენ იმაში, რაც მოხდა. ქაბუკმა იოანემ შორს უკან მოიტოვა თავისი თანამგზავრი და, მიიბრძინა რა პირველმა, გაჩერდა შესავალში და უხმო განცვიფრებით შესწერებოდა ღია საფლავს. შიშით შეიხედა და გამოქვაბულში, დაინახა რომ გამოქვაბული ცარიელია. უნებლურმა შიშის გრძობამ შეაჩერა იოანე. მაგრამ მალე მიუსწრდა პეტრემ, რომელიც ფიცხლავ შევიდა გამოქვაბულში დაბალი კარით „და იხილა ტილონი იგი ხოლო მდებარენი და სუდარი, რომელი იყო თავსა მისსა, არა ტილოთათანა მდებარე, არამედ თვისაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა.“ (იოან. 20, 7). პეტრეს შემდეგ გამოქვაბულში შევიდა იოანეც „და იხილა და რწმენა“.

აი პირველი მორწმუნე უფლის აღდგომისა შემდეგ წმ. დედათა, რომლებსაც ახარეს ანგელოსებმა, რამ მიიყვანა სარწმუნოებისადმი იოანე? უეჭველად მან, რომ იგი სიყვარულის მთელი ყურადღებით ლებულობდა თავის გულში იესოს სწავლის, მაგრამ განსაკუთრებითი ძლი

ერებით აღიბეჭდნენ მის სულში უფლის სიტყვები მის უკანასკნელ საუბრის დროს მოწაფეებთან, როდესაც ის არა ერთგზის უამბობდა მათ თავის სიკვდილზე და გამოცხადებაზე მათდამი აღდგომის შემდეგ.

„შვილნო! არა დაგიტყენე თქვენ ობლიდ, მოვიდე თქვენდა.“ (იოან. 14, 18, 28).

— „სუდარი და სახვეველი შენახულია საფლავში, მასთან არა ურიგო სახით—ეს სპობს ყოველივე ექვს უფლის სხეულის მოტაცებაზე. რა საჭირო იყო მოტაცებელთათვის სუდრის შემოხსნა?

„და განა შესაძლებელია თვით მოტაცება? ვის შეეძლო მოპარვა? ბტრებს? მაგრამ ისინი ხომ მარტო იმის ცდაში იყვენ, რომ დაეკვათ საფლავი... ჩვენ კი ყველა კარგ დაეტლ სახლებში ვისხედით შიშისათვის ურიათასა... არა, აქ მოხდა რაღაც სხვა, და არა მოტაცება,“ აზრობდა იოანე.

ყოველივე ამან ელვასავით გაიბრძინა საყვარელი მოწაფის შემფოთებულ სულში. ღრმა, თვის შორის ჩახედული სული სწრაფათ საზრავდა ყოველივე გარემოებას და დიდი ქეშმარიტება აღდგომისა უკვე ანათებდა მის გონებას...

„და იხილა და რწმენა.“

ცხადია, არც პეტრეს შეეძლო დათანხმებულიყო მარიამ მაგდალინელას აზრს გვამის მოტაცების შესახებ. მაგრამ, ყოველივე მის შემდეგ, რაც მოხდა, მდგომარეობა მისი სულისა, რომელიც ამასთან დამძიმებული იყო ღრმა შეგნებით თავისი დიდი დანაშაულობისა, არ იყო ისეთი, რომ შეძლებულიყო ეფეთქა მასში სასიხარულო აზრს აღდგომაზე. გარდა ამისა გამოუტკვეველობა, და ეჭვები აშფოღებდნენ პეტრეს სულს.

სხვადასხვა გრძობით დაბრუნდნენ დანარჩენ მოციქულებთან პეტრე და იოანე, მაგრამ იქ მენელსაცხებლენი დედანი უკვე მიუთხოვრდნენ ანგელოსთაგან მონახმენ სასიხარულო ამბავს უფლის აღდგომაზე, თუმცა მათ არ უჯეროდნენ ამას. კითხვს დაბრუნებულ პეტრეს და იოანეს, იხილეს თუ არა მათ

ანგელოზნი? არა, სულიერი ხილვა არა მათთვის იყო: არც ერთს და არც მეორეს ანგელოზი არ უნახავს. მთლად გაჰქრა რწმენა მენელსაცხებლეთა სიტყვებისადმი. იოანეს შეეძლო მხოლოდ ის ეთქვა სხვებისთვის, რომ პირადათ მას სწამს აღდგომა ქრისტესი, „რამეთუ არა იცოდეს წერილისა, ვითირმედ ჯერ არს მისი მკვდრეთით აღდგომა.“ (იოან. 20, 9). მიუხედავთ ამისა მენელსაცხებლეთა სიტყვები სასიამოვნოთ ესმოდა მის გულს და ეხმარებოდა მას განსამტკიცებლად მასში სარწმუნოებისა მით უმეტეს, რომ მახარობელთა რიცხვში იყო მისი დედა—სალომე.

მაგრამ თვით აღდგომილი ჯერ კიდევ არაივრს ენშა...
 პეტრეს და იოანეს წასვლის შემდეგ, მარიამ მადლანელა მარტოთ დარჩა საფლავთან, მარტო თავისი გამოუთქმელი მწუხარებით, არ მქონებელი იმედის მკირეოდენი ნაპერწყალისა... სული მარიამისა იყო ისე შეძრწუნებული ყოველივე შემთხვეული ამბით, ისე იყო შოკული ერთი ფიქრით უფლის სხეულის მოტაცებაზე, რომ ანგელოზების დანახვაზე ის სულაც არ შემქრთალა, თითქოს ისინი ჩვეულებრივი ადამიანები ყოფილიყვენ. ორი ან გელოზი იყო საფლავში: ერთი იჯდა საფლავზე „თავით“, და მეორე ფერხით, სადა იგი იდგა გვაში უფლისა იესოსი“ (იოან. 20, 12).

„დედაკაცო რასა სტირ?“

„აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არა უწყი, სადა დასდევს იგი“ (იოან. 20, 13).

ამნაირად ანგელოზთა ხილვამაც ვერ შეძლო დაეცხრო მასში ძლიერი სულიერი მღელვარება და შეშფოთება. მხოლოდ თვით უფლის ყოფნას შეეძლო მისი დამშვიდება; მას ერთს, და არავის სხვას, შეეძლო მისი მწუხარება სიხარულად შეეცვალა. და აი თვითონ ის მართლაც მის წინ არის... მაგრამ მას ვერ ცნობილობს ერთბაშად, თავდავიწყებამდის მიცემული ერთ და იმავე ფიქრს, მთლად ცრემლებით სავსე, ის ლეზულობს უფლის მებადეთ, რომელიც ამ დროს უნდა მოსულიყო ბაღის მისილაგებლათ. უფალი მიმართავს მარიამს იმავე სიტყვებით, როგორც ანგელოზები:

„დედაკაცო, რასა სტირ? ვის ეძიებ?“
 გახარებული იმ იმედით, რომ უცნობს შეუძლია აუხსნას მას უფლის გვამის დაკარგვა, და შეიძლება, ცოტა გვერდზე მიხედვით, რომ დაფაროს თვალეზე მომდგარი ცრემლები, მან ჰკითხა მებადეთ მიჩნეულს: „უფალო უკეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვილო იგი“.

რქვა მას იესო: „მარიამ!“

მარტო ეს სიტყვაც, წარმოთქმული მისი ნაცნობი სადღესასწაულო და ამასთან უსაზღვრო მოყვარული ხმით, მსწრაფლ ჩასწვდა მას გულში. გაექანა მისკენ, რომ ხელი შეეხო ფერხთა მისთავის, ან ხელი მოეცლო ტანისამოსის კალთაზე და შესძახა თავის სამშობლო არაბულ ენაზე: „რაბბუნნი!“ „მოდღარო ჩემო!“ და შემდეგ თითქოს დამუნჯდა საღვთო ალტკებისაგან...

ახ, ეს იყო წამი, რომლისათვისაც, უეჭველია, იგი არ დაიშურებდა მთელ თავის სიკოცხლის მიცემას, რომლის დროსაც მთელი საშინელი მწუხარება მისი სწრაფლ შთაინთქა უსაზღვრო სიხარულის სხივებში...
 საღმრთო ძრწოლით ის უვარდება მაცხოვარს ფეხქვეშ, რომ ეამბოროს მას, თითქოს აღარ სურს მისი მოშორება, მაგრამ მოწყალებლით აჩერებს და მას კვლავ ესმის „უტკბილესი“ ხმა:

„ნუ შემომეხები მე, რამეთუ არა აღსრულვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა, და არქვი მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქვენისა“ (იოან. 20, 16—17). არა უკანასკნელი იქნება ეს ხილვა მისი მისგან. მაგრამ ის ჩქარა უნდა დაბრუნდეს თავის მამასთან და ამიტომ უბრძანებს გაეჩქაროს ძმათა მისთანა, მოციქულებთან და გამოუცხადაოს მათ მისი აღდგომა.

და რა საჭიროა ხელით შეხება მისგან, როცა სულმა მისმა სავსებით იგრძნო უფლის მყოფობა?

როცა მარიამი გონს მოვიდა, უფალი უკვე აღარ იმყოფებოდა იქ, მაგრამ მის გულში სუ-

ფეცა უზომო სიხარული, ყურებში გუბუნია გაქონდა უტყვილეს სიტყვებს. თვალზე კიდევ კრთოდა ცრემლები. მაგრამ—უკვე ტყბილი ცრემლები.

უფლის ბრძანება დაუყონებლივ უნდა შესრულებულიყო და მარიამმა წაიღო თვისი სასიხარულო ამბავი ყოველ შემდეგ საუკუნეთათვის და ხალხისათვის. ახმაურდნ ეს პირველი სიტყვები, რომელნიც საუკუნოთ ჩაებქდნ გულში მათ, რომელთაც პირველად ესმათ იგინი: „მე ვიხილე უფალი!“.

მაგრამ, სხანს, მოწმობა მხოლოდ ერთი მარიამისა არ იყო კიდევ საკმაო: „ორისა კაცისა წამება ქეშმარიტ-არს“ (იოან. 8, 17). მარიამ მაგდალინელას, პეტრეს და იოანეს დაბრუნების შემდეგ, უკან გამოუდგა მეორე მარიამი, და ღვთისმშობელ მარიამისა. შეხვედრისას მარიამ მაგდალინელამ, უეჭველია, გააგებინა თავის თანამგზავრს სასიხარულო ამბავი და ორნივე მირბოდნ თხრობად ამისა მოწაფეთა მისთა, — და აჰა, იესო შეემთხვია მათ და რქვა: გიხაროდნ!“ . ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერხთა მისთა და თაყვანი-სცეს მას.

„წარვედით, და უთხარით ძმათა ჩემთა, — ერთხელ კიდევ გაიმეორა უფალმა თავისი ბრძანება, რათა წარვიდნ გალილიას, და მუნ მიხილონ მე.“ (მათ. 28, 9—10).

მარიამ მაგდალინელა მეორე მარიამითურთ შემოიჭრნ მოციქულთა კრებაში, აღესილი გამოუთქმელი სიხარულითა, ის უსიტყვოთაც კოცხალი მოწამე იყო აღდგომისა. მაგრამ საოკრათ ვჩვენებოდათ, რომ ხილვა და გამოცხადება მარტო დედაკაცებისთვის იყო. მოციქულნი ახლაც თავის ურწმუნოებაში დარჩენ... მხოლოდ ერთი იოანე და ერთი კიდევ ტანჯულ-გვემული გული მარიამ მაგდალინელას მოწმობის შემდეგ აღიესნ უეჭველი რწმენით აღდგომის სინამდვილეში. ჩვენ ვამბობთ უდწმიდა ქალწულ მარიამზე. შესანიშნავია, რომ ის, რომელსაც უეჭველია სხვებზე მეტათ უყვარდა თავისი ძე და უფალი, არ ღებულობდა მონაწილეობას სხვათა მენელსაცხებლე — დედათა დილის მგზავრობაში. ის უეჭველად, ყვე-

ლაზე უფრო მეტათ იყო მომზადებული აღდგომის რწმენისათვის, რადგან იმარხავდა თავის გულში ყოველივე სიტყვებს იესოსას და იესოზე, იყო მეტის მეტათ ყურმიგდებული ყოველივე დიდთა და საკვირველთა შემთხვევათა მიმართ მის ცხოვრებაში მაგიდგან დაწვებული ვიდრე საფლავამდის, ესმოდა ანგელოზებზედ, რომელნიც მოუთხრობდნ მის აღდგომას და იგონებდა ანგელოზებს, რომელნიც უგალობდნ ქრისტეს შობას. ის შეიძლება არ უმხელდა სხვებს თავის აზრებსამის შესახებ, მაგრამ სულის სიღრმეში აღიარებდა და უეჭველად არა ერთხელ იმეორებდა სანატრელ აზრს: „შეუძლებელია, რომ ჩემი ღვთიური ძე სამუდამოთ დარჩეს საფლავში!“ შესაძლებელია, სულით იგი უკვე სკერეტდა ძესა თვისსა დიდებითა მით, რომელ აქნდა შემდეგ აღდგომისა. შესაძლებელია იოანემაც სახელდობრ მისგან შეითვისა საჩქარო გამზადება რწმუნებისათვის აღდგომისა. დაუჯერებელია აგრეთვე, რომ საერთო ურწმუნოების მოზიარე ყოფილიყოს პეტრეც, თავისი გაბედული მკვეთრი ხასიათით, რომელმაც ოდესმე პირველმა აღიარა თვისი რწმენა ქრისტეზე, როგორც ღვთის ძეზე, — იმ პეტრემ, რომელიც უწყებულ იქნა მენელსაცხებელთაგან, რომ ანგელოსმა განსაკუთრებით იმას უბრძანა ხარებად და მითხრობად უფლის აღდგომაზე. არა, მის სულში უკვე წყებულობდა ამოსვლას განთიადი აღდგომის ბრწყინვალე დღისა, და უეჭველათ ის არ დააყოვნებდა გამოცხადებია თავისი სარწმუნოება და განემტკიცებია მასში ძმანი, მაგრამ... ამ ხანად მას აღარ ჰქონდა უწინდებური გაბედულობა. შემდეგ მისი დაცემისა მის სულში მოხთა ღრმა შინაგანი ცელილება. ოჰ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უფალთან მისვლა ისე, როგორც უწინ, ის მოძებნიდა მას, დაეცემოდა ფერხთათანა მისთა და ცრემლთა ნაკადულებს დაღვრიდა მის წინაშე... მაგრამ ახლა ისე აღარ არის: უფალი გზავნის თავისს მახარებლებს, ეცხადება არა ჩვეულებრივი სახით ვი საც უნდა და როგორც მას სურს.

მაგრამ, რომ არც მარტო პეტრე ყოფილიყო ერთად ერთი მოწამე მოცი-

ქელთა რიკებში, უფალმა ინება კიდევ გამოცა ხადება თავის მახლობელ ხორციელ ნათესავ იაკობისადმი. ის სხვებზე გვიან შეუერთდა მოწაფეთა გუნდს, მაგრამ მან ღრმით ირწმუნა იესოს სწავლა. სიწმინდის და დიდი მოღვაწეობის სახელი აცისკროვნებდა მას. მტკიცეთ იტავდა შინაგან სიმართლეს და გარეგნულ სიწმინდეს, რომლითაც იწვევდა განცვიფრებას და ღრმა პატივისცემას თავისადმი ურიათა შორისაც კი. თეთრი სამოსი და ფართე თავმოსახვევი დაწუხებულ სახეზე მის გარეგნობას აძლევდა მეტ წარმოსადგობას. უეჭველია, ყველანი დადუმდნენ, როცა იაკობი შევიდა საღამო კრებაზე... სულის სასიხარულო განწყობილება ბრწყინავდა მის პირისახეზე. დადგა რა შორის მათსა, იაკობმა მხიარულათ წარმოსთქვა:

„ქეშმარიტათ აღსდგა ქრისტე!“ (კორინ. 15, 7).

ამგვარათ მოციქულნი სრულიად გამზადებულნი იყვნენ იმისთვის, რომ გამბთარიყვენ ღირსნი აღდგომილი უფლის სასიხარულო ხილვისა, რომელიც მართლაც გამოეცხადა მათ იმავე დაუფიწყარი დღის საღამოს.

ახლა შევიტყუთ, თუ რა მოხდა ამ ხანად იერუსალიმში.

ქალაქის მაღალი ნაწილნი: სიონი, აკრა, შორია, დაკავებული იყო ვრცელი დარბაზებით იერუსალიმის დიდებულთა სადუკეველთა, იროდიანთა, ხარკის მსყიდველთა, იროდი დიდის და მკაბელთა სასახლეებით და ტაძრის უდიდესი შენობებით. მთის ძირას, ქალაქის დაბლა ნაწილში, ურიცხვი ხალხის გროვა ჭიანჭველასავით დაფუხფუხებდა. ყველა ქუჩები, სახლები და 480 თორა (სინაგოგა) იერუსალიმისა ადგილი იყო ხალხის არა ჩვეულებრივი სიმრავლით. ყოველ წლივ პასექზე მომოდოდნენ ძენი ისრაილისანი რომის იმპერიის ყველა საზღვრებთა და კუთხეთაგან: „პართი და მიდნი და უფიქნი და ელიმიტელნი, და მკვიდრნი შუა მდინარისანი, ურიასტანისანი და კაბადოკიისანი, პონტოისანი და ასიასანი, ფრიგიისანი და პამფილიისანი, ეგვიპტისანი და

ადგილისა ლიბიისანი, კვირინით კერძობი და მოსრულნი პრომნი; ჰურთანი და მწირნი, კრიტელნი და არაბიელნი (საქმ. მოც. 2. 9—11).

მრავალ ენოვან ლაპარაკს გუნდნი გაჭონდა ქუჩებში. სხვებზე უფრო ხშირად ისმოდა ბერძნულ და არამეულ ენათა ბგერანი. უცხოელი მიხერა-მოხვრით აღელვებულნი და ურთიერთ შორის მოდავენი, უამბობდნენ ერთი ერთმანეთს ვასაოცარ ამბებს. რომ იესოს გვაში დილით ვერ უნახავთ საფლავში, მიუხედავთ იმისა, რომ იქ იდგნენ მცველები და საფლავი დაბეჭდილი იყო დაათვალიერეს—დაჩხრიკეს ყველა კუთხეები, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. თვით დახელოვნებულნი იროდის პოლიციაში, — მოისპოს მისი სახსენებელი ქვეყანაზე, — გაწრთენილნი მაძებარნიც კი ხელკარიელნი დაბრუნდნენ

— წინასწარმეტყველი ამბობდა, რომ მესამე დღეს აღსდგებოდა...

— განა ეს შესაძლოა?

— რა არის აქ დაუჯერებელი? განა საშუელი იმ ქვეყნიდან არ გამოეცხადა საულსა? ილია და ენოქი განა მოკვდნენ? არ მოვლენ თუ ისინი ხელახლავ ქვეყნათ? არა თუ თვით წინასწარმეტყველნი, არამედ მათი ძელებიც კი აღადგენდნენ ხოლმე მიცვალებულებს!..

— მაგრამ იესო ხომ სამარცხვინო სასჯელს მისცეს?

— მერე რა უყოთ?... განა ჩვენი წინაპრები არ სჯიდნენ წინასწარმეტყველებს, განა იესომ არ აღადგინა ნაინელი დედაკაცის შვილი და იაიროსის ქალიშვილი?

— და განა თქვენ დაგავიწყდათ ის, რომ მან აგერ წინაზე საფლავიდან აღადგინა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე?

— რამდენი მოწმეა აქ, ჩვენ შორის, ისრაილის ქვეყნის ყოველ კუთხიდან, რომელთაც უხილავთ სხვაც ბევრი, არა მათზე ნაკლებ ვასაოცარნი სასწაულნი დიდის წინასწარმეტყველისა?

ასე, უმჯველად, იგონებდნენ მრავალ სხვა ყველა კეთილმოქმედებებს იესოსას ყველა მისს ცხოველ მყოფელ საუბრებს და სხივმომფენი სახე ქო-

სტესი საკვირველი ლოთიური სიმშვენიერით
დგებოდა და იხატებოდა მრავალრიცხოვან
თაყვანისმცემელთა სულში, რომელნიც შეკრე-
ბულიყვენ იერუსალიმში.

ღარწმუნდა რა მკვლელების მოხსენების სი-
მართლეში, მეტათ შეშფოთებული კაიაფა,
ჩქარობდა მიეღო ენერგიული ზომები. მდგო-
მარეობა ეჩვენებოდა მას ძლიერ საშიშობა.
„ბრბო ხომ მუდამ ცვალებადია. მართალია,
სამი დღის წინათ ადვილათ ავიყოლიეთ ის,
მაგრამ განა ერთი კვირის წინეთ არ ქუხდა
„ოსანასა“ სადიდებლ დ იესოსა? ოხ, ეს ბრბო,
უგუნური და უფიცი სჯულისა!!! ის მიზიდუ-
ლია იწამოს ყველაზე უფრო ყოველივე სასწაუ-
ლებრივი. მთელი იერუსალიმი სავსეა იმ ქვე-
ყნიდგან რალაც საიდუმლო გამოცხადებაზე ლა-
პარაკით: ამბობენ, რომ დიდიხნის გარდაცვა-
ლებულნი პირნი, გამოცხადენ თავიანთ ნაც-
ნობებს და მიესაღმენ მხიარული ღიმილით.
ბრბოს ასეთი სულის განწყობილების დროს,
ადვილად შეიძლება მოხდეს აზრთა წინააღმდეგი
ცვლილება და მაშინ ვის დაატყდება თავზე
სიკოფე და განძინება აღელვებულ ხალხა-
სა, ვინ შეაკავებს მას? საშინელებაა! ამის მო-
საზრებით სისხლი მყენება ძარღვებში. რა
ვქნა? რა უნდა ვქნა ახლა? შევკრიბო დაუყო-
ნებლივ, აუცილებლად სინედრიონი“.

ასე შეფოთავდა და ასე გადასწყვიტა გო-
ნება დაბნეულმა კაიაფამ. სინედრიონი შეიკ-
რიბა, შეიკრიბა თავზარ დაცემული შეძრწუნე-
ბული, რასაკვირველია, აქ არ იყო საუბარი
არც სასწაულის სინამდვილეზე, არც მიუდგო-
მელ და პირუთვნელ გამოძიებაზე; მით უმეტეს
არ შეიძლებოდა კითხვა დაესვათ ამის რწმენა-
ზე... რჩებოდათ ერთი საშვალეობა-მიმართვა სი-
კრულისადმი. მხოლოდ სიკრუეში ურჩებოდათ
მათ ერთად ერთი თავშესაფარი. და აი ხელ-ახ-
ლავ მოუწოდებენ მკვლელებს და, ვერ მომ-
ფიქრებელი რაიმე უკეთესისა, შეაგონებენ მათ
გააერცლონ სულელური და სასაცილო ზღა-
პარი უფლის გვიამის მოპარვაზე მკვლელე-
ბას ძლიერ დროს, სიბრძნე და სასაცი-
ლო!!! მაგრამ რა უნდა ვქნათ? როგორ გაე-

ცათ პასუხი ხალხის შეკითხვა-კითხვებზე? უმ-
ჯობესია კი რამენაირად მიჩქმალონ და მი-
ფუჩქონ.

ამნაირად ღელაფდენ ხალხის წინამძღვარ-
ნი იმ დროს, როცა ქრისტეს მოწაფეთა მკირე
საზოგადოებაში უკვე სასიხარულოთ გაისმოდა:
„ქრისტე აღსდგა!“, დღესასწაულზე შეკრებილ
ურციკზე ხალხთ შორის კი მზადდებოდა ახალი
ნოყიერი ნიადაგი ღვთის სიტყვის დასათესად.

მღ. დ. ლოსაბერიძე.

შ უ რ ი.

შურმა ადამი სამოთხით
გამოაძევა გარეთა...
წაართვა ედემის ბაღი,
და აატირა მწარეთა.

გადმოგვწვდა კაცობრივობას
ბრალი ადამისეული,
და დღესაც აღარ გვასვენებს
შური ეს ღვთისგან წყეული.

შურმა კაენსა—კვიდრი ძმა,
აბელი მოაკლევინა,
და უღეთოთ, მსხვერპლი უმანკო
მიწაში ჩააფლევინა.

შური აღრჩობდა იროდის,
იესო ქრისტეს მოსვლისა,
თოთხმეტი ათასი ყრმები
მისთვის კალოზე მოსრისა.

და განა, ფარისეელებმა
შურით არ მოკლეს იესო,
როდესაც მისი მხილება
მათ გულზე ლახვრათ მიესო!

შური—რედმაა (?), ზღვის ტალღა,
სიკეთის დამამხობელი,
კეთილი გულის დამშველათ
შხამია დამათრობელი.

ბოროტი კაცი შურს ეძებს,
შურითა ხარობს და ტყება,
შური რომ მოსპო მის გულში,
იმავე წამში მოკვდება.

ჩვენი ქვეყანა, ამ შურმა
დალუბა, დააძაბუნა,
წინეთ დიდება მოსილსა
დღეს მწვავე ბედი არგუნა.

წყეული იყოს ვისაც რომ
ამოქმედებდეს შურია,
მოყვასს არ ზოგავს, ღალატობს
და მისი სისხლი სწყურია.

რ. საჯავახელი.

კვირიდან-კვირაშდე.

ქართლ-კახეთის სინოდის კანტორამ უწმ.
სინოდიდან მიიღო „უქაზი“, რომლითაც არა
მართლ-მადიდებელ პირთ აკრძალული აქვსთ,
ნათლიად იყონ მართლმადიდებელის მონათვლის
დროს.

სათათბიროს სახალხო განათლების კომი-
სიამ I მილიონი და 550 ათასი მანეთი გადას-
დვა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯამა-
გირისათვის. კანონ-პროექტის ეს მუხლი შესა-
მე სათათბირომ უარჰყო. ახლა მხარი დაუჭი-
რეს ამ კანონ-პროექტს ნაციონალისტებთან
ერთად ოქტომბრის ტებმა.

რომის პაპა კვლავ საშიშ მდგომარეობაში
იმყოფება. ეშინიათ ფილტვების ანთება არ მო-
უვიდეს.

წინა ნომერში ვწერდით, რომ პატრიარ-
ხი გერმოგენი წმინდანთ ჩარიცხვასჟო. ესლა
ამუშავებენ იმის პროექტს, თუ როგორი სა-
ხით და ტანისამოსით დახატონ ხატებზე.

უწ. სინოდმა მიანდო საეკ. კრების წი-
ნასწარ საკრებულოს, შეიმუშაოს საკითხი, შე-
უძლიან შედავითნეს მესამეჯერ ითხოვოს ქალი
თუ არა.

პროგრესისტებმა შეიტანეს სათათბიროში
საკითხი სამრევლოს რეფორმის შესახებ.

ოქტომბრის ტების ფრაქციას შეაქვს სათა-
თბიროში კანონ-პროექტი სამღვდელოების მა-
ტერიალურად უზრუნველყოფის თაობაზე. ისი-
ნი ამ კანონ-პროექტს უკავშირებენ სამრევლოს
რეფორმის საკითხს და ურჩევენ შემოიღონ ისე-
თი სამრევლო წესდება, როგორც დღეს არის
ფინლიანდიაში. წლიური ჯამაგირი მღვდლის
2400 მ., დიაკონის 1,200 მ., შედავითნის 600
მან. პენსიის დამსახურების ვადათ დანიშნუ-
ლია 25 წელი. პენსიაში გამოსულ მღვდელს
ექნება 600 მ., დიაკონს 300 მ., შედავითნეს
200 მ. თუ 35 წ. იმსახურებენ, მღვდლები მიი-
ღებენ პენსიის სახით 900 მ. დიაკონები 450 მ.
შედავითნები კი 300 მ.

საეკ. კრების წინასწარ საკრებულომ მი-
ანდო ბიზანტოლოგ პროფ. სოკოლოვს შეი-
მუშაოს პატრიარხის ამორჩევის წესი. სოკო-
ლოვმა ასეთი წესი შეიმუშავა და წარუდგინა
კრების წინასწარ საკრებულოს.

ბზობის წინასაღამოს მლოცველი ბრძანდე-
ბოდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გიორ-
გი, რომელმაც ცისკრის შემდეგ მგრძობიარე
სიტყვა უთხრა მლოცველებს, განმარტა რომ
წესიერება ღვთის ტაძარში თითონვე უნდა და-
იცვას ყოველმა ქრისტიანმა და პოლიცია არ
უნდა იყოს საჭირო. დალოცა და შეუდგა ხალ-
ხის ზეთის ცხებას.

ჩვეულებათ არის მიღებული პირველ ა-
რილოს მოტყუილება. ასეთი ახირებული მო-
ტყუილების მსხვერპლი შეიქნა ერთი ოჯახი

ქ. კიევში, რომელსაც შეადგენდა ცოლქმარი და მათივე წლის ბატარა ქალი. დილას ვიღაცამ ტელეფონით შეატყობინა ქმარს, რომ მისი ცოლი უცრად გადაიკვალა. გამწარებული ქმარი გაეჩანა ბინისკენ გულწასული. რომ მიუახლოვდა თავის სახლის ეზოს, შეამჩნია, რომ მის ეზოში ხალხს თავი მოეყარა. წრეში მოეჩვენა მისი ცოლი სისხლში მოსვრილი მიწაზე, დაგდებული. ნუ იტყვი, ანაირი შინაარსის ცნობა ცოლისთვისაც მიუწვდია და შეუთვლია, რომ მისი ქმარი ტრამეის ვაგონს მოყვა ქვეშ და სულ ერთიანად გასრისა. ელდა ნაცემი ცოლი წამოვიარდა ზეზე, დაავლო ხელი შვილს და ანგარიშ მიუცემლად გადმოვიარდა ფანჯრიდან და იქვე განუტევა სული. ამ სურათის დამახველ ქმარს გული შეუწუხდა. წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ როგორც კი მობრუნდა იხელთა დრო და თითონაც გადაეშვა ფანჯრიდან. ანაირად ახირებულ ხუმრობის წყალობით ამოწყდა ახალგაზდა ოჯახი.

სათათბიროს კულუარებში ამბობენ, რომ ერთ ინჟინერს მიუპართავს სათათბიროს თავმჯდომარე როდზიანკოსთვის და უთხოვია მიიღოს მის შიერ გამოგონილი მანქანა დებუტატების დასამშვიდებლათ სხდომებზე არეულობის დროს. ამ მანქანის შემწეობით არც ერთ დებუტატს არ შეუძლია ადგეს თავისი საჯდომიდან, სანამ თავმჯდომარე არ დააჭირებს ზელს კნოკას. როდზიანკომ გადასცა ინჟინერს წინადადება განმკარგულბელ კომისიას, რომელმაც უპასუხა ინჟინერს, რომ ასეთი მანქანები დებუტატებს არ ესაჭიროებათ.

სამღვდელოების შესახებ უწმ. სინოდისაგან უმაღლესი ბრძანება მოვიდა, რომ გულზე სატარებელი ის განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც 300 წლის აუბილეის გამო დამტკიცდა, ნება აქვს ატაროს ყველა მღვდელ-მსახურმა, რომელიც კი 21 თებერვალის სამსახურში ირიტებოდა. ამ ჯერის მოდელი საექსარხოზოს შეწყვეტელშია მოთავსებული.

რუსეთის მთავრობას სასურველათ მიაჩნია ათონის მთის ავტონომიური მართვა-გამგეობა მართლმადიდებელ საბელმწიფოების გარანტიით და მსოფლიო პატრიარქის მწყემს-მთავრული გამგეობით.

ზონტოველ ზილატკეს რაზონრტი რომის იმპერატორ ტიბერიოსისადმი შესახებ იესო ქრისტეს-ჯვარცმისა

ზირი წაგნისა წარუღებულისა აერუსლიმთა ტიბერიოსს იმპერატორისადმი ზუბდაა-დეტუღდაა მთავრასგან ჭერასტანისა იესო ქრისტესთვის.

წიგნი ესე დამარბულ არს რომს მონასტერსა შინა ბატონთა კესარინელთა წიგნისა საცავსა შინა, ხოლო თარგმნილ არს წიგნი ესე ფილიპეს ვისაძე ლათინთა ხუცისაგან.

სათნო ყოფად შენდა, ჰოი კეისარო, ნატურისა შენისათვის მოგახსენებ, ვითარმედ არის ჩვენსა ჩემდა რწმუნებულსა სამთავროსა ადგილსა შინა კაცი ვინმე, რომელსა ჰრქვიან იესო ქრისტე, და ცხოვრებს იგი დიდისა დეაწლითა; ესე ერისაგან წოდებულ არს წინასწარმეტყველად ქეშმარიტებისა, გარნა მოწაფენი მისნი იტყვიან, ვითარმედ ესე არს ძე ღვთისა, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, და ყოველი რაიცა არს მას შინა ყოველივე ქეშმარიტ არს. ჰოი კეისარო, ღლითი დღე საკვირველნი საქმენი ისმიან იესოს ქრისტესთვის, რამეთუ მკვდართა აღადგინებს, სწულთა განკურნებს მხოლოდ სიტყვითა; ეს არს კაცი წრფელი, მოქმედი სიმართლისა და ფრიად შევნიერისა შეხედულობისა, და მისის პიროსაგან ესოდენ დიდ შევნიერება გამობრწყინვალებს, ვიდრე მხილველნი იძულებიან მისის სიყვარულისა და შიშისათვის; მის ასხენ თმები სრულიად დამწიფებული თხილია ფერისა, მაგრამ უფრო ბრწყინვალე არიან, თავზე შუაში შუბლის თმები აქვს ჩვეულებისამებრ ნახარველისა, შუბლი მისი გაშლილი არის და მოწმედილი, მისი პიროსაზე არის უნაოკო და უბიწო და საკადრელი ფერი, ცხვირი და პირი მისი კეთილად გასაღებელ არიან, წვერი

ხშირი აქვს და მსგავსი თმათა, არცა მეტად გრძელი, მაგრამ შუაზე განყოფილი, მისი ხილვა ფრიად საპატიო და მძიმე არს. მას ასხენ თვალნი ფრიად შვენიერნი და ბრწყინვალენი და ფრიად გაშტერებულნი, მისი პირის სახე ბრწყინავს ვითარცა შუქი მზისა, და არავის შეუძლიან ხილვა მისი ბრწყინვალეობისა გამო, ხოლო ოდეს დასტუქსავს ვისმე, შეადრწუნებს და რა ეპასუვრთის, სტირნ, თავსა ყველას შეაყვარებს და მზიარულად არის. მაგრამ სიმძიმით მოგახსენებთ, რომ არავის უხილავს იგი მცინარედ, გარნა ჰე მტირალედ. მას ასხენ მკლავნი და ხელნი ფრიად შვენიერნი, ხოლო კაცისა შექცევაში ფრიად საყვარელ არს, გარნა ძვირად გამოჩნდების, ხოლო ოდეს გამოჩნდება, დიდი ნამუსიანი არის საქციელითა, მოკლედ მოგახსენებ, ვითარმედ არს კაცი უფროსად შვენიერი, ვიდრე ვის მოგონება შეუძლიან, და სრულიად ჰგავს თავის დედას, რომელი არს უფროსად ყოვლად შვენიერი ქალი რომ იქნება და ოდესმე ამ კერძოზე გამოჩნდება.

„უკეთუ უმაღლესობა შენი ნატრობს, კეთსარო, ხილვასა მისსა, ვითარცა უწინარეს მოგწერე მტკიცე სიტყვა მიბრძანე და მალე გაახლებ, ხოლო წიგნისა საქმე განაკვირვებს იერუსალიმის ქალაქსა, რამეთუ მან იცის ყოველი მეცნიერება, და არა ოდეს რაი უსწავლია, იგი დადის თავ შიშველი და ფეხშიშველი, და ამისთვის შრავალნი ხილვითა მისთა განსკინებენ მას, ვითარცა გარდარეულსა, გარნა მასთან მყოფთა და თანა მოლაპარაკეთა კაცთა ათრთოლებს და აშტერებს; ქეშმარიტად მისი მსგავსი კაცი არასოდეს გამოჩენილა ამ კერძოზედ, და ებრაელნი მოგახსენებენ, ვითარმედ არაოდეს ესმით განზრახვა, გინა რჩევა ესოდენი მსწავლისა, ვიდრე რჩევა, გინა განზრახვა ქრისტესი, რომელნიმე ებრაელთაგანი ჰგონებენ მას ღმერთად და ღვთიურად მსწამსთ. გარნა შრავალნი დრტვივნენ მისთვის და იტყვიან, ვითარმედ იგი წინააღმდეგობს უმაღლესობასა შენსა, ხოლო მე მძიმედ შე-

ძრუწუნებულ ვარ ამ უკეთურთ ებრაელთაგან; მოგახსენებენ, ვითარმედ მას არასოდეს საწყენი ვისთვისმე უქმნია. გარნა ყოველნი მცნობელნი მისნი და მისთანა ქცეულნი იტყვიან, ვითარმედ დიდნი კეთილნი და კურნებანი მიიღეს, ხოლო მე ფრიად მზა ვარ თქვენს მოჩილებისათვის, და რასაც მიბრძანებთ ამა იესო ქრისტესთვის ის აღსრულებულ იქმნების, და მშვიდობით იყავ.

აღიწერა მეშვიდესა საურისა კრებასა შინა მეორეს მთავარეს უმაღლესობისასა,

წინასიტყვაობა მთარგმნელისა.

ძველი და იგავთა ისტორია რაპორტით მოგხსენდებათ, ხოლო წინასიტყვაობა რაპორტისა ამისა მთარგმნელისა მიერ მოიხსენეთ, რამეთუ რაპორტი ესე ქვემოთ თარგმნილ არს წიგნისაგან, ქმნილისა იაკობ უფლისამიერ დაბეჭდილ არს კოსტანოპოლესა შინა; გონებითა დაბრულომან კუთით მსუბუქმან და ქეშმარიტებისა ხედა იქვენულმან პონტოელმან პილატემან, იხილა რა ფიცხელნი და სიცრუით აღსავსენი შესასმენანი ღვთის მკვლელთა ჰურიათანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ, ეამსა შინა საცნაურებითმან გრძნობამან განაღვიძა მის შორის კაცი, გარნა გარეგანმან კაცმან წინააღმდეგ სულის ხორცმან არა ნება სცა მათ, არამედ ეთანხმავა ჰურიათა სიკვდილსა ზედა მისსა, რომელმანცა მისცა მათ იესო მხსნელი ყოველთა ჯვარცმად და სიკვდილად, შემდგომად ამისა რაიცა გამოხდა ამისგან იგი პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისა განთქმულ არს, და რასათვის განვარგდებო. მაშა სთქვით იგი რომელ ოდესმე კერპთ-მსახურმან და ბოროტთა უბოროტესმა პილატემან სცნო შეცდომილება თვისი, მამისა ზეციურისა თანაარისისა კაცად ქმნილისა ნაზარეტელისა, და იხილა განსიკვებელნი სისწაულნი, მისგან ქმნილნი, მაშინ შთახდა არა წმინდა გონებასა თვისსა და სთქვა: რა ვჰყო მე უბადრუკთ უბადრუკმან და უბადრუკებითა სიესემან, რამეთუ ნაზარეტელი იგი იესო შემწე და სასარგებლო ქვეყნისა მოვაკდინე, მსცნობს უკვე ამას კეთსარი ჩემი და დამსჯის უსასტიკესად, რომლისათვისცა მოიხმო მან ჩინებულთა-

განნი, და არჩია მათთანა და სთქვა: ესე ვითარ-
ჩი უფვანი საქმე შეგვემთხუა და მოვკალით
კაცი მართალი, მე უწყი, რამეთუ კვისარსა
ესე არა მიეფარების, არამედ მეშურნეთა ჩვენ-
თა მიერ უმეტეს ქმნილთაგან მოეხსენების და
მე ვხედავ უმჯობესად, რათა უპირველეს
ყოველთა მე მოვახსენო და თქვენ რასა არჩევთ;
მიუგეს მათ: უმჯობესი შენ იცი და ჩვენცა
მოხსენებასა ვარჩევთ.

რაპორტი პილატესაგან:

მოხსენდეს თქვენს თვით-მპყრობელებითს
დიდებულებასა საქმე იგი საოცარი, რომელი-
ცა იქმნა ამჟამად ქვეყანასა შინა ჩვენსა, და
საშინელი სასწაული, დროსა მეფობისა თქვენი-
სასა. რამეთუ კაცი ვინმე გამოცხადდა ქვეყანა-
შინა გალილეელთასა გვარისაგან ჰურიათა:
ქალაქსა შინა ნაზარეთსა, ნათესავისა იუდასი,
იესოდ წოდებული, რომელისათვის ჰსწამებენ
ყოველნი ჰსჯული და მცენებანი მისნი და აღი-
არებენ მას ღმერთად და ძედ ღვთისად, რომელი-
ცა შობილ არს ბეთლემს ქალაქსა შინა
დავითისასა, ეამსა მეფობისა ჰურიასტანით
ეროდესა, ოდეს მოგვნი აღმოსავალით მოვი-
დეს და რქვეს: სადა არს მეფე ჰურიათა, რომელი
იშვა, რამეთუ ვიხილეთ ვარსკლნვი მისი
აღმოსავალით და მოვედით თავყანის ცემად.
ესმა რა ესე ჰეროდეს, შეძრწუნდა და ყოველი
იერუსალიმი მისთანა და შეკრიბნა ღვდელნი
და შწინობარნი და რქვა მათ: სადა მართებს
ქრისტესა შობად, მიუგეს მათ: ბეთლემს ჰური-
ასტანისასა.

ოდეს ესე ყოველივე ჰსცნო ჰეროდემ,
მოსრნაყოველნი ყრმანი: ამისა შემდგომად განე-
ლო რა ოც დაათმან წელმან, მოვიდა (იესო) და
ნათელ ილო, და იწყო ქმნად სასწაულთა და
საკვირულებათა, რომელი გვესმა ჩვენ მრავა-
ლთაგან, და ესტანით, რომელ მხოლოდ ძლი-
ერებითა და სიტყვითა ჰყოფდა ესე ვითართა:
ჰკედართა აღადგენდა, მკელობელთა არონი-
ნებდა, ყთოროვნათა განსწმედდა, ვშმაკთა გა-
ნასხმოდა, ბრმათა ხილვას მიანიჭებდა, და ყო-
ველსა ამას, რასაც იქმნადა, სიტყვით ოდენ

და არა სხვითა, რომელ ესე ვითართა ყოფად
ღმერთთა ჩვენთა არა ძალუძსთ, და თავადი
ესრეთ ვილოდა ქვეყანასა შინა ჩვენსა, ვითარცა
ერთი კაცთაგანი, არცა აქენდა სახლი, არცა აღ-
გილი, არცა ქალაქი სამკვიდრებელი. არცა
ქონება, არცა დიდება და არცა საჭიროება
კაცობრივი, არამედ თვინიერ სასყიდლისა გან-
კურნებდა ყოველთა და განაახლებდა სიკვდი-
ლისაგან ცხოვრებად, არა ეგრეთ მოქმედებდა
იგი, ვითარცა მკურნალი, და არცა ეძიებდა
რასმე არამედ რასაც იქმნადა სიტყვით მხო-
ლოდ, რაიცა ენება, არა ჰყოფდა იდუმალ,
არამედ ცხადად მხილველთათანა, ვიდრე გტყუ-
დიან, ნამდვილვე ძე ღვთისა არს ესე, და მეც
მესმა და ესცან, რომელ მართალნი და ჭეშმა-
რიტნი იყენენ საქმენი, რომელთა იგი იქმნადა,
ხოლო უსჯულომან და უღმრთომან გვარმან
ჰურიათამან, იხილეს რა ესოდენი კეთილ-
მოქმედება და წყალობის მომნიჭებლობა მისი,
შური იძიეს მისთვის მღვდელთ მთავართა შწი-
გობართა თანა და სწამებენ მისთვის, ვითარ-
მედ შეურაცხის-მყოფელი ჰსჯულისა არს იგი
წინააღმდეგ კვისრისა, და იტყვის თავსა თვისსა
ძედ ღვთისად და ესრეთითა შხაკვარებითა მო-
ვიდნენ და მომცეს-იგი ხელთა. დასდევს მას
ხედა ბრალი სიკვდილისა, ვითარმედ თვალ-
მაქცი არს, მაცთური, მამრკოლებელი ჰსჯული-
სა, ხოლო მე პირველ ჰესცან, ვითარმედ ვინა
არს, შემდგომად ნამდვილ მითხრეს მე, რომელ
ჰსჯულსა შინა მათსა წერილ არს, რამეთუ ღმერ-
თი ცათა შინა არს, რომელსა შეუქმნიეს ყოველნი
ქმნილნი, ჩვენთა ღმერთთა ესენი არა მსახურე-
ბენ, არამედ ესრეთ იტყოდნიან:

ღმერთმან უფალმან წარმოგზავნოს ძე
თვისი ქვეყანად და განხორციელდეს წმიდისა
ქალწულისაგან და ვილოდეს ქვეყანასა ზედა
ვითარცა კაცი, რომელიცა ვიხილე თვალითა
ჩემითა სამთავროსა შინა ჩემსა. და თვით მას
მრავალ გზის გამოვკითხე და მესმა მის მიერ სი-
ტყვანი ბრძნულნი, ხოლო გვარი ჰურიათა ეწი-
ნააღმდეგებოდა მას. გარნა იგი ჰსჯულთაგან
მათთა და წინასწარმეტყველთა აყვედრიდა მათ
და იგინი ეერას მიუგებდიან, რამეთუ ყოველი

მესმა და ვიხილე. მიზეზი სიკვდილისა ვერა რა ვპაოვე მას შინა, თუმცა იგინი იტყოდიან შათისა დაუმარხველობასა, რომელიცა ჰსჯულისა მათისა წინააღმდეგი იყო: რაოდენსაცა განკურნებდა მარადის შათისა იქმოდა, და ამისთვის უწოდებენ წინააღმდეგსა და მტერსა, ვიდრე დიდი სიმრავლე ქალაქისა აღსდგენ მას ზედა, ეგრეთვე მთავარნი და პატრიარქულნი მის ქალაქისანი, რომელთა სახელ ედვათ ფილოპე და მღვდელთ მთავარნი: ანა და კაიაფა, შეიპყრეს იგი ღამესა და შეკრეს და ყვანდათ გათენებამდე; შემდგომად სიმრავლე ქალაქისა შეკრა მას ზედა, მოიყვანეს კრული და მომკეს მე მრავლითა სხვისა და სხვისა მიზეზებით, მითანხმეს და მივეც იგი მათ ტანჯვად. შეიპყრეს და გვარად გვარადისა ვნებითა და წყლულებითა სტანჯეს იგი, მეცა აღწერე თვითოეულად რაოდენი რა უყვეს, და ჟამსა ჯვარკმისასა რაოდენი სანწაულნი იქმნებთან და მკირედ მოვახსენე თქვენს დიდებულებასა, რათა შურიტა სხვა არ მოეხსენებიათ თქვენთვის. უფალნი ესე იპათნი და ყიპატი, მრთელიყავი.

(შემდეგი იქნება)

ს ა უ ბ რ ე ბ ი.

პეტრე: ეს სოლომონ მეფე მართლაც არის მაგალითი იმისი, რომ ჩვენ სააქაოსთვის არა ვართ გაჩენილნი, რადგანაც აქაური არაფერი არ გვაქმყოფილებს. კაცის ბუნება, რომელსაც სწავრია უკვდავება და საუკუნო ბედნიერება წინააღმდეგობას აცხადებს, როცა ამბობენ, რომ კაცი მხოლოდ სააქაოსთვის არის დანიშნული.

მღვდელი: მაგრამ ამისი წინააღმდეგია მთელი გონიერი სოფელ-მხედველობა. ვიღაც რომ ამბობდა ან გამოიჩინდა გულმოდგინებას სათნოებისადმი, რომ ყველა კაცთათვის სიკოცხლე სიკვდილით თავდებოდეს? ვიღაც შეიკავებდა თავის ვნებას, სააქაო ცხოვრება რომ იყოს ერთად ერთი. მიზანი ჩვენის ცხოვრები-

სა? ეს სოლომონმაც იცოდა, რომელიც თუმცა თანახმა იყო, რომ ბრძენს კაცს ისეთივე უპირატესობა აქვს სულელთან, როგორც სინათლეს ბნელთან, მაგრამ დაუმატა ამასთან ასეთი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა: ვითარცა შემთხვევა უგუნურისა შემემთხვევის მეცა, რად განვბრძნდი მე უმეტეს (ეკლეს. 2, 17). მას უნდა, რომ სთქვას: თუ კაცის სიკოცხლე ყველასთვის ერთნაირად თავდება და სიკვდილის შემდეგ აღარაფერს არ უნდა მოველოდეთ, მაშინ სისულელე იქნება, რომ ვიშრომით და ვიზრუნოთ უმაღლესი სისრულისთვისაო, თუ სააქაოს ცხოვრება არის ერთად ერთი მიზანი ჩვენის არსებობისა, მართლნი ყოფილან ისინი, რომლებიც ამბობენ: ვქაოთ და ვსავთ, ე. ი. დავტყბეთ სიკოცხლით, რადგანაც ხვალ აღარ ვიქნებით. მაგრამ შორს წავიდოდით, დიდი ხანი გასძლებდა კაცთა საზოგადოება, რომ ამ წესით დაეწყოთ ცხოვრება? მაშასადამე, ვისაც შეუძლია საღად აზროვნება, მან უეჭველად უნდა სთქვას: შეუძლებელია, რომ კაცი შექმნილ იყოს მხოლოდ ამ ქვეყნისთვის; მიტომ რომ ცხოვრებაზე ასეთ შეხედულობის დროს, მერწმუნეთ, აუტანელი იქნებოდა ამ ქვეყანაზე ცხოვრება.

თომა: მაშინ სწორედ ისე იქნებოდა, როგორც სოციალდემოკრატების მომავალ სახელმწიფოში, სადაც ყველას უნდა სიამოვნება, შრომა კი არავის.

მღვდელი: სამართლიანად შენიშნავთ, თომა. მე ვხედავ, რომ თქვენ ჩემი საბუთები სისწორით გაიგეთ. ეხლა მე გადავალ დამტკიცების მეორე ნაწილზე, რომელიც ამბობს:

2) კაცი მოწოდებულია სხვა უკეთეს ცხოვრებისათვის საიქიოს; ეს რომ ასე არ იყოს, შეოქმედი უსამართლოდ და სასტიკად მოექცეოდა კაცს. უსამართლო იქნებოდა შეოქმედი მიტომ, რომ ბერს არ შეუძლიან ისარგებლოს, დასტკბეს ქვეყნიურის ცხოვრებით. აქ ვგულისხმობ იმათ, რომლებიც მალე იხრკებიან დაბადების შემდეგ ან სიღარიბით, გაჭირებით და სხეულად სცხოვრობენ; მაგრამ ღმერთმა ეს ქვეყანა გააჩინა კაცის სიკეთის

და სარგებლობისათვის. კაცს, მაშასადამე ნება აქვს იხაროს და იმხიარულოს ამ ქვეყნად ცხოვრების უამს. მაგრამ სად არის სიხარული და ნუგეში იმ უბედურთათვის? განა მათ არ უნდა სთქვან თავის შესახებ; ჩვენი სიკაცხლე არა ღირსო. ისინი რომ არ მოელოდნენ სხვა უკეთეს ცხოვრებას საიქიოს, ღმერთი ამ კლასის კაცთა გამო, რომელნიც ბლომად არიან, უსამართლო იქნებოდა. მაგრამ ის ჩვენ ძალიან სასტიკად მოგვექცეოდა, რომ არ დავენიშნეთ საიქიოს უკეთესი სცხოვრებისთვის; მიტომ რომ მან შთანერგა კაცის გულში წყურვილი უკუდავებასა და ეს წყურვილი ტყუილად შეაწუხებდა კაცს სააქაოს, რადგანაც არ ექნებოდა იმედი იმას შესრულებისა. განა ეს სიფიცხე არ იქნებოდა? უფალმა გავაჩინა ჩვენ და მოგვცა მისწრაფება ნეტარებისა და ბედნიერებისადმი და ეს მისწრაფება, რომელიც ჩვენ არაოდეს არა გვტოვებს არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. განა ეს სასტიკობა არ არის? ყველა ქვეყნიურ ქმნილებათა შორის მხოლოდ კაცს აქვს იდეა ღმერთისა და სურვილი, რომ ჰყავდეს ღმერთი სასტიკი არ იქნებოდა, რომ ღმერთს წაერთმია მისთვის შესაძლებლობა ამ უფლებაში შესვლისა? ღვთისთვის იურების და ნაღვლობს კაცის გული, ამიტომ ღმერთთან უნდა მივიდეს იგი. არაფერს სხვა ქმნილებას არა აქვს მიზიდულობა თვისის შემოქმედისადმი, ამიტომ არადროს არ მივა მასთან. კაცი შექმნილია ღვთისათვის; ის მუდამ უნდა დატკბეს ღვთით.

პეტრე: მაშ რაღა მნიშვნელობა აქვს ამიტომ ქვეყნიურს სიკაცხლეს?

მღვდელი: ის არის მომამზადებელი სასწავლებელი საუკუნოსთვის. ეს არის დრო სწავლისა და მოგზაურობისა, როცა ჩვენ უნდა მოვემზადნეთ სხვა, უკეთესი ცხოვრებასთვის. ეს არის დრო დიდმარხვისა, რომელსაც მოჰყვება სამხიარულო აღდგომა. აწინდელი ცხოვრება მსგავსია ზღვის ნაპირისა, რომელზედაც კაცნი, ემზადებიან წასასვლელად საკუთარს სამშობლოში. თუმცა ქვეყნიური ცხოვრებაც დიდი სიყვითეა, ღირსი ყოველგვარის ზრუნვისა ჩვენგან, მაგრამ მართო მაში არ არის ჩვენი

უმაღლესი დანიშნულება. ქვეყნიურს ცხოვრებას აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ როგორც ვხას, როგორც საშუალებებს სულის ცხოვრების მისაღწევად. ეს ცხოვრება სულისა არის შეგნება ქვეყნიურებისა და კეთილისადმი სიყვარულისა.

პეტრე: მაშასადამე ჩვენი მიზანი სააქაოს არის; ქვეყნიურების ცნობით და კეთილის სიყვარულით მოვემზადნეთ მომავლის ცხოვრებისათვის. სხვა სიტყვებით, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი, ვიცნათ იგი და ვმსახურობდეთ მას.

მღვდელი: ამისათვის ღმერთმა მოგვცა ჩვენ გონება, გული და ნება. ჩვენ უნდა პატივი ვცეთ ღმერთსა და ვაცხოვნოთ სული ჩვენი, — აი ის დიდი მიზანი, რომელიც ჩვენ უნდა ავასრულოთ ქვეყანაზე, აი ის კეთილშობილური და მაღალი მსახურება, რომელსაც ჩვენ საესებით უნდა შევწიროთ თავი. ჩვენ უნდა ვემსახუროთ ღმერთს, რადგანაც ის ამას ითხოვს ჩვენგან. რა დიდი პატივია ეს ჩვენთვის! ჩვენ სულს შეგვიძლია ამით მივანიჭოთ საუკუნო ბედნიერება; რა სარგებლობა არის ეს ჩვენთვის! მიტომ რომ, როგორც ბრძანებს ნეტარი აგვისტინე, კაცი შექმნილია მისთვის, რომ იცნოს ღმერთი, შეიყვაროს იგი, იყოლიოს იგი და ამით იყოს ბედნიერი.

ოჰ, რა მშვენიერი სანახავი იქნებოდა მაშინ ქვეყნიური ცხოვრება, კაცი რომ ღრმად იყოს გამსჭვალული ამ აზრით: მე გაჩენილი ვარ სხვა, უკეთესი ცხოვრებისთვის საიქიოს! ღმერთი, ეს დაუსრულებელი მშვენიერება და სიყვარული, ღმერთი, ეს უმაღლესი კეთილი და წყარო ყოვლისა ბედნიერებისა მუდამ უნდა გვყავდეს და ვტკბებოდეთ მითი, არ უნდა გვეშინოდეს როდესმე მისი დაკარგვისა. და ეს ბედნიერება იქნება ჩვენი ხვედრი, თუ ჩვენ ქვეყანაზე გავაკეთებთ ჩვენ საქმეს, ავასრულებთ ჩვენს ვალდებულებას. განა ამ აზრს არ შეუძლიან დაგვიტკბოს სასტიკი, მძიმე ქვეყნიური ცხოვრება, ადვილად სატვირთავი გავცვიხადოს ტანჯვა და მოკლუბა და თვით სიყვდილი სასურველად? დიახ, ღმერთი, რომელიც უნდა

იყოს ჩვენი უდიდესი ჯილდო მომავალს ცხოვრებაში, აქაურსავე ცხოვრებაში გვფენს მომავალი ბედნიერების სხივებს და მორწმუნე ქრისტიანებს წინაღვე აგებინებს, რა არის მისთვის განუზღებელი ცათა შინა. საიდან მოხდა, რომ ეს ღარიბი მუშა, რომელიც მთელი სიცოცხლე გაჰირებას ებრძვის, ასე კმაყოფილია თვისი ხვედრით? რით აიხსნება ის, რომ საბრალო სნეულ-ტანჯულს ასე მოთმინებით უტვირთავს ჯვარი და მისი მომვლელი მოწყალების და არ ისურვებს, რომ თავისი ხვედრი გაუცვალოს რომლსაგე მდიდარს ამა სოფლისას? უყურეთ, ეს მომავალი ბედნიერება ამ ღარიბისათვის ამ გლოვის ველზე ჰფენს თავის სხივებს, როგორც ამომავალი მზე გვიგზავნის ხოლმე თავის აქროს სხივებს. ამას კიდევ ასეთი აზრიც მიუმატეთ: მე შემძლია, არა თუ უზრუნველ ვყო ჩემთვის მომავალი ნეტარების მიღწევა, არამედ გავამრავლო კიდევ იგი ყოველ კეთილ საქმით, რომელსაც ვიქმნავთ სიყვარულისთვის, ყოველი უღრტინველი ტანჯვით, რომელსაც ვითმენ ჩემი ქრისტესთვის. ეს ხწორედ ის აზრია, რომელიც აქ ქვეყანაზევე მორწმუნე ქრისტიანებს ხდის კმაყოფილად და ბედნიერად, ატკობს და სასიამოვნოდ ხდის მათთვის ყველა მის სიძნელეს, ტანჯვას და მოკლუბას ამა ცხოვრებისას.

თომა: ეს არ არის ის სიბრძნე ცხოვრებისა, რომელსაც ჰქადაგებენ სოციალ-დემოკრატები.

პეტრე: ამ ცხოვრების სიბრძნეს რომ მისდიონ იმ უკმაყოფილებმა, რომლებიც მუდამ ღმერთზე დრტვინვენ, მაშინ მათი ღვინოთი უფრო სუბუქი და ადვილად სატვირთავი იქნებოდა. მაგრამ მათში ეს სარწმუნოება განდევნილია მათი ცრუ მეგობრებისაგან და ამიტომ ისინი ორნაირად უბედურნი არიან. ისინი უბედურნი არიან სააქაოში, მაგრამ უმეტესად უბედურნი არიან საუკუნისთვის. დიხს, მართალია, ბოროტად იქცევიან ისინი, რომლებიც სდენიან მათგან წმ. სარწმუნოებას. ესენი არიან უდიდესნი დამნაშავენი, რომლებსაც

დანაშაული არ ეპატებათ არც სააქაოს, არც საიქაოს, რადგანაც ისინი უბედურებენ თავის მსხვერპლს ვამიერადაც და საუკუნოდაც.

მღვდელი: ვისაც სარწმუნოება დაუკარგვია, მან არ იცის, რისთვისღა სცხოვრობს ქვეყანაზე და მისთვის არაფერი ნუგეში არა აქვს აზრს მომავლის, უკეთესის ცხოვრებისას. ღმერთმა დაგვთაროს ასეთი უბედურობისაგან! (შემდეგი იქნება). **ა. ვ.**

მადლობის გამოცხადება.

მამათ რედაქტორ!

უმორჩილესად ვთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაურ საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო მე და ჩემის მრეგლის მხრით იმ პირთ რომელთა შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო წალიკარის წმინდის გიორგის ეკლესიას: 1) აზნაურს ლევან გუგუნავას, რომელმაც შეოსწირა შუა ეკლესიაში დასაკიდებელ ქალი ღირებული ორმოცდა ხუთ მანეთად, 2) ტერენტი ყარამანისძე ასათიანს — ორი ხატი, ერთი ღვთისმშობლისა და მეორე წმინდა ნიკოლოზისა — ორივე ღირებული ოთხ მანეთად და 3) ევნატე მატკავას ქვრავს მარაას, გიორგი კუპრეიშვილის ასულს — აღსავლის ვარების კრეტსაბმელი ღირებული ხუთ მანეთად.

წალიკარის წმინდის გიორგის ეკლესიის მღვდელი ილარიონ სისოოღია.

ს ი ბ

შემომწირველთა ონიანის მომაკვდავ ცოლისა და სამი შვილის სახარებლოდ.

(შეწირულება შეაგროვა მღვდელმა სერაპიონ ცაგარეიშვილმა).

- 1) კოსტავა 20 კ., 2) კოსტავა კონსტანტინე 10 კ., 3) ვიქტორ ბახტაძე 20 კ., 4) ივანე ფხაკაძე 10 კ., 5) ვლადიმერ კოსტავა 10 კ., 6) სერგეი კოსტავა 15 კ., იონბუკია 10 კ., 7) რატდენ ფერაძე 20 კ., 8) ილარიონ ქორეოლიანი 20 კ., 9) იასონ შალიკაშვილი 25 კ.

წელი დანიშნულებისამებრ გადავსა.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ ვაჟალაძე**, გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.